ოქმი:**ო37.37210471**
თარიღი:**16/02/2021**

ოქმი #3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2021წელი, 15 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

16^{00} – 17^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. აროშიძე, ბ. დოლიძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩაგანავა, ლ. მგელაძე, გ. კილაძე, ბ. ქათამაძე, დ. ჭაკნელიძე, შ. გოგიბერიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 10, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის და გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის წესისა და წარსადგენი ანგარიშის ფორმების საკითხის სრულყოფის მიზანშეწონილობის შესახებ“ - საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის სარეკომენდაციო წერილის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლევან ხინთიბიძე

გიორგი ღურჯუმელიძე

ვალოდია ბერიძე

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების შესრულების წლიური ანგარიშის სტანდარტული ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების მიზანშეწონილობის შესახებ“ - საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის სარეკომენდაციო წერილის განხილვისა

და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლევან ხინთიბიძე

გიორგი ღურჯუმელიძე

ვალოდია ბერიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულბის მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

ლაშა თავაძე

გიორგი მამაკაიშვილი

გიორგი ჩაგანავა

6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ 2020 წლის გაწეული მუშაობის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის მიწოდებისა და ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

აქვე აპარატის უფროსმა, როგორც „ღია მმართველობა - პარტნიორობის“ ადგილობრივი პროგრამის (OGP-LOCAL) ოფიციალურმა საკონტაქტო პირმა საკრებულოს ბიუროს მიაწოდა ინფორმაცია ღია მმართველობა პარტნიორობის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მიმოხილვის შესახებ და კორუფციული რისკების შეფასების სისტემის დანერგვაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩართვის თაობაზე, რომელიც ასევე მიეწოდება საკრებულოს სხდომას.

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N1, 2, 3, 4, 5,6, 7 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

2. N8 საკითხი ინფორმაციის სახით მიეწოდოს საკრებულოს სხდომას ცნობად მიღების მიზნით.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი